პატერნალისტური დამოკიდებულებები და ახალგაზრდების სამოქალაქო პასიურობა საქართველოში

საქართველოს უნივერსიტეტი (UG)
V-Dem კავკასიის რეგიონული ცენტრი
UG ახალგაზრდობისა და სოციალური კვლევის ცენტრი

2026 წელი

პატერნალისტური დამოკიდებულებები და ახალგაზრდების სამოქალაქო პასიურობა საქართველოში

კვლევა ეფუძნება 2025 წლის რაოდენობრივი კვლევის *«Gen Z სამოქალაქო აქტივიზმი საქართველოში»* მიგნებას პატერნალისტური დამოკიდებულებების შესახებ და შეისწავლის, თუ როგორ უკავშირდება საქართველოში 18–29 წლის ახალგაზრდების სახელმწიფოს მიმართ პატერნალისტური დამოკიდებულებები მათ სამოქალაქო ქმედითობასა და პასიურობას.

ძირითადი საკითხები:

- აქტიური ახალგაზრდის ცნების გააზრება;
- სოციალიზაციის გამოცდილებები ოჯახში, ფორმალური განათლების სივრცეებსა (სკოლა, უნივერსიტეტი) და თანატოლთა გარემოში;
- სახელმწიფოსა და მოქალაქის ურთიერთობის აღქმა;
- სამოქალაქო პასიურობასთან დაკავშირებული გამოცდილებები;
- სამოქალაქო ჩართულობის შესაძლო სტიმულები და ხელშემწყობი ფაქტორები.

პატერნალისტური დამოკიდებულებები და ახალგაზრდების სამოქალაქო პასიურობა საქართველოში

კვლევის მეთოდოლოგია:

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა ექვსი ფოკუს ჯგუფი 18–29 წლის ახალგაზრდებთან.

მონაწილეთა შერჩევისას გათვალისწინებული იყო:
- **დასახლების ტიპი** (დედაქალაქი, სხვა ქალაქები და სოფლები)
- **ასაკობრივი ჯგუფი** (18–23 და 24–29 წელი)

საველე პერიოდი: 10-16 მაისი, 2026

კვლევის შეზღუდვები:

- შედეგები რაოდენობრივად წარმომადგენლობითი არ არის
- ეთნიკური უმცირესობების გამოცდილება მონაცემებში არ არის ასახული
- ფოკუსჯგუფი აღქმებს, ტენდენციებს აჩვენებს

რას გულისხმობს პატერნალიზმი?

პატერნალიზმი არის დამოკიდებულება, როდესაც ერთი ადამიანი ან ინსტიტუტი სხვის ნაცვლად იღებს გადაწყვეტილებებს იმ მოტივით, რომ უკეთ იცის, რა არის მისთვის სასარგებლო.

მისი ძირითადი მახასიათებლებია:

- **გადაწყვეტილების ჩანაცვლება** - სხვის ნაცვლად გადაწყვეტილებების მიღება.
- **ავტონომიის შეზღუდვა** - ადამიანის დამოუკიდებელი არჩევანისა და მოქმედების თავისუფლების შემცირება.
- **მზრუნველობის მოტივი** - ჩარევის გამართლება იმით, რომ ეს ადამიანისავე კეთილდღეობას ემსახურება.
- **დამოუკიდებლობის შესუსტება** - პიროვნების ნაკლები ჩართულობა საკუთარი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

კავშირი ახალგაზრდების სამოქალაქო პასიურობასთან:

პატერნალისტურმა დამოკიდებულებამ შესაძლოა ახალგაზრდებში გააძლიეროს სხვებზე, განსაკუთრებით უფროსებსა და ავტორიტეტულ ინსტიტუტებზე გადაწყვეტილებებისა და პასუხისმგებლობის გადაბარების ტენდენცია, რაც ხელს უშლის დამოუკიდებელი სამოქალაქო პოზიციის ჩამოყალიბებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას.

წყაროები

- Dworkin, G. (1972). Paternalism. The Monist, 56(1), 64–84.
- Clarke, S. (2002). A Definition of Paternalism. Critical Review of International Social and Political Philosophy, 5(1), 81–91.
- Stanford Encyclopedia of Philosophy. (2020). https://plato.stanford.edu/entries/paternalism

მთავრობების როლის აღქმა ახალგაზრდებში

46%

„ადამიანები ბავშვებივით არიან და მთავრობამ ისე უნდა იზრუნოს მათზე, როგორც მშობელი ზრუნავს შვილებზე“

40%


„მთავრობა ხალხის მიერაა დაქირავებული: ადამიანები უნდა იქცეოდნენ როგორც უფროსები და უნდა აკონტროლებდნენ მთავრობას“

11% — არცერთ მოსაზრებას არ იზიარებს

რას გულისხმობს ახალგაზრდა, როცა პირველ ვარიანტს ირჩევს?

წყარო: Gen Z სამოქალაქო აქტივიზმი საქართველოში, 2026 წლის კვლევა, N=1000

ახალგაზრდების სამოქალაქო პროცესებში ჩართულობა არათანაბარია



94–99%

არ არის გაწევრიანებული ფორმალურ ორგანიზაციებში, პარტიებსა თუ კლუბებში.

არჩევნებში მონაწილეობის დონე მაღალია, ორგანიზებულ სამოქალაქო ცხოვრებაში ჩართულობა - დაბალი.

ბოლო 12 თვის აქტივობები.
წყარო: Gen Z სამოქალაქო აქტივიზმი საქართველოში, 2025 წლის კვლევა, N=1000

როგორ უკავშირდება პატერნალისტური დამოკიდებულებების ფორმირება და ინტერნალიზაცია ახალგაზრდების სამოქალაქო პასიურობას?

ფორმირება

ოჯახი, სკოლა, უნივერსიტეტი, თანატოლები - რას ისმენს და რას სწავლობს ახალგაზრდა

მექანიზმები

გამოცდილება, ნდობა, ეფექტიანობის განცდა - როგორ გარდაიქმნება დამოკიდებულება ქცევად

მდგრადობა

რა უმყარებს ახალგაზრდას განცდას, რომ მას ცვლილების მოხდენა შეუძლია

სახელმწიფოსა და მოქალაქის ურთიერთობის აღქმა

ჰიბრიდული დამოკიდებულება

მონაცემები არ გვაძლევს საფუძველს, ახალგაზრდები „პატერნალისტებად“ და „არაპატერნალისტებად“ დავყოთ.

უფრო გავრცელებულია ჰიბრიდული დამოკიდებულება:
სახელმწიფოს ძლიერი სოციალური პასუხისმგებლობა **და** მოქალაქის პოლიტიკური ავტონომია - ერთდროულად.

> *„მეც მეორე დებულებას უფრო დავეთანხმები, მაგრამ ნაწილობრივ პირველი მოსაზრებაც მართალია... სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს ყველა მოქალაქეზე... მაგრამ ხალხიც უნდა ერეოდეს სახელმწიფოს გადაწყვეტილებებში.“*
>
> *ფოკუს-ჯგუფის მონაწილე · სხვა ქალაქები, 24–29 წლის*

მოქალაქის როლის სამი პოზიცია

1

თანამონაწილე

მოქალაქე პრობლემის გადაწყვეტაშიც მონაწილეობს

2

გამჟღერებელი

მოქალაქე პრობლემას ამოიცნობს და ინსტიტუტამდე მიიტანს; გადაწყვეტა სახელმწიფოსია

3

მოლოდინში

მოქალაქე „ვიღაცის“ მოქმედებას ელოდება

რას უარყოფენ ახალგაზრდები

ვინიეტი: „მუნიციპალიტეტი აცხადებს ახალ ახალგაზრდულ პოლიტიკას და აღნიშნავს, რომ ის შექმნილია ახალგაზრდების დასაცავად, დაძაბულობის შესამცირებლად და წესრიგის შესანარჩუნებლად. თუმცა, ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის აზრი არ უკითხავთ. როდესაც ახალგაზრდების მცირე ჯგუფი ღია საჯარო განხილვას ითხოვს, ოფიციალური პირები პასუხობენ, რომ ახლა ამის დრო არ არის და პასუხისმგებლიანი მოქალაქეები უნდა ენდობოდნენ ინსტიტუტებს“.

ყველა ჯგუფში რეაქცია ერთნაირად მიუღებელი იყო.

ვისთვისაც აკეთებ, იმას თუ არ ეკითხები საერთოდ რა უნდა და როგორ უნდა, ეგ არის... აბსურდი.

თბილისი, 18–23 წლის

თუ ჩემთვის აკეთებ, ჩემი აზრი თუ მნიშვნელოვანი არაა, ესე იგი არ აკეთებ ჩემთვის.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილე


მზრუნველობა - მოთხოვნა, რომ სახელმწიფო სოციალურ ფუნქციებს ასრულებდეს

≠

პროცედურული პატერნალიზმი - მოქალაქის გადაწყვეტილებიდან გამორიცხვა

აქტიური ახალგაზრდის ცნების გააზრება

რას ნიშნავს „აქტიური ახალგაზრდა“



ინდივიდუალური
სწავლა, შრომა, თვითგანვითარება

სოციალური
პროგრამები და მოხალისეობა

სამოქალაქო
პოზიცია და გავლენა

აქტიური ადამიანი შეიძლება იყოს აპოლიტიკურიც.
თბილისი, 24–29 წლის

სამი სხვადასხვა შინაარსი გამოიკვეთა: **ინდივიდუალური აქტიურობა** - საკუთარი ცხოვრების კარგად წარმართვა. **სოციალური აქტიურობა** - პროგრამებში, მოხალისეობასა, და ღონისძიებებში ჩართულობა. **სამოქალაქო-პოლიტიკური აქტიურობა** - საზოგადოებრივი პრობლემის მიმართ პოზიციის ქონა და მასზე გავლენის მცდელობა.

მონაწილეთა ნაწილისთვის სამოქალაქო აქტიურობა „აქტიური ახალგაზრდის“ აუცილებელი ნიშანი არ არის.
დაბალი სამოქალაქო მონაწილეობა ზოგადი აპათიის მაჩვენებელი არ არის.

სამოქალაქო პასიურობასთან დაკავშირებული გამოცდილებები

ქმედითობა: ორი ციკლი

უშედეგობის ციკლი

უშედეგო მოქმედება → ეფექტიანობის დაბალი განცდა → მონაწილეობის სურვილი მცირდება

ეფექტიანობის ციკლი

მოქმედება → ხილული შედეგი → მონაწილეობის სურვილი იზრდება

„აზრი არ ჰქონდა იქ ყოფნას“ ... „ერთხელ, ორჯერ, სამჯერ“

60% თანხმდება, რომ „მათნაირი ადამიანების აზრი მთავრობის საქმიანობაში არ არის გათვალისწინებული“

წყარო: Gen Z სამოქალაქო აქტივიზმი საქართველოში, 2026 წლის კვლევა, N=1000

მონაწილეობის ფასს ხშირად სხვაც იხდის

ზოგს აჩერებს ის, რომ დედა ყავს ან მამა ყავს დასაქმებული ისეთ ადგილას, რომ ანუ მერე რომ გაუგონ, გაათავისუფლებენ და შემოსავლის წყარო დააკლდება ოჯახს.

თბილისი, 18–23 წლის

იმდენად აქტიურად ვიყავი ჩართული ამ ყველაფერში, რომ მოიძიეს ჩემი... გენეალოგიის ხე და ვინც კი ვინმე იყო მსგავსი, ყველაზე დაშინება დამიწყეს და იძულებული გავხდი.

სხვა ქალაები, 18-23 წლის


მონაწილეობის შესამცირებლად არ არის საჭირო, რომ ყველა სანქცია რეალურად განხორციელდეს - საკმარისია, ის სარწმუნოდ მიიჩნიონ.

„მე ერთი რას შევცვლი“

მე რომ არ წავიდე, ერთი კაცი რა ამით დაშავდება

როცა ასე ათასობით ადამიანი ფიქრობს, კოლექტიური მოქმედების მასშტაბი მცირდება.

> „ვიღაც ხალხი მამხნევებს, [მაგრამ] სახლში ზის“ - და „მუღამი და ჟინი“ იკარგება.
>
> *სხვა ქალაქები, 18-23 წლის*



სიტყვიერი მხარდაჭერა ≠ მოქმედება

მოქალაქისთვის საკმარისი არ არის რწმენა, რომ პირადად შეუძლია. საჭიროა რწმენა, რომ სხვებიც შეუერთდებიან.

სოციალიზაციის გამოცდილებები ოჯახში, ფორმალურ განათლებასა (სკოლა, უნივერსიტეტი) და თანატოლთა გარემოში

ოჯახი და ფორმალური განათლება (სკოლა, უნივერსიტეტი) - ორმხრივი გავლენა

მოლოდინი: ოჯახი და ფორმალური განათლება პატერნალისტურ ორიენტაციებს გადასცემს და აძლიერებს. **მონაცემები ამას სრულად არ ადასტურებს.**

ერთი გამოცდილება

თანამედროვე სასკოლო სისტემა არის კონვეიერი... არანაირი დამოუკიდებელი აზროვნება, არანაირი შენი აზრის გამოხატულება.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილე

იმავე სისტემაში — სხვა გამოცდილება

ვსწავლობდი სამოქალაქო განათლებას... გავიგე რა უფლებები მქონდა... სკოლამ ძალიან კარგი თავდაჯერებულობაც შემძინა.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილე

ინფორმაცია დემოკრატიის შესახებ ≠ ქმედითობის განცდა. ქმედითობა მაშინ ყალიბდება, როცა ახალგაზრდას რეალურად ეძლევა შესაძლებლობა: დაგეგმოს, გამოთქვას, დაინახოს შედეგი, მიიღოს უკუკავშირი.

ორი გზა პასიურობამდე

ორი გზა პასიურობამდე

გზა 1 · პატერნალისტური დამოკიდებულება - პასუხისმგებლობის გადაცემა

სახელმწიფო - საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარების მთავარი მოქმედი სუბიექტი → მოქალაქეს აქვს მოთხოვნები, მაგრამ საკუთარ თავს ინიციატორად არ აღიქვამს →

გზა 2 · დაბლოკილი ქმედითობა

მოქალაქე პასუხისმგებლობას აღიარებს და მონაწილეობა სურს →

- ინსტიტუტები არ რეაგირებენ
- შედეგის ალბათობა დაბალია
- კოლექტიური მხარდაჭერა არასაკმარისია
- ფასი ძალიან მაღალია

→ **სამოქალაქო პასიურობა**

ვის ეკუთვნის პასუხისმგებლობა?

→ პატერნალიზმი

სჯერა თუ არა, რომ მოქმედებას შედეგი მოჰყვება?

→ სამოქალაქო ეფექტიანობა

რა უნდა შეიცვალოს

1

მონაწილეობა ისე დავაწყოთ, რომ მას შედეგი ჰქონდეს

უშედეგო კონსულტაცია ჩართულობას არ ზრდის - ის ამცირებს.

2

დავიწყოთ იქიდან, სადაც შედეგი თვალით ჩანს

ქმედითობის ყველაზე ხელმისაწვდომი სივრცე ლოკალური და კონკრეტული საკითხებია, და არა ეროვნული პოლიტიკა.

3

სამოქალაქო განათლებას გამოცდილება დავუმატოთ

დაგეგმე → გამოთქვი → დაინახე შედეგი → მიიღე უკუკავშირი.

4

მონაწილეობის ფასი გავითვალისწინოთ

ახალგაზრდისთვის რისკი ხშირად დიდია. უსაფრთხოება მონაწილეობის წინაპირობაა და არა მისი შედეგი.

მთავარი მიზანი არ არის იმის მტკიცება, რომ აქტიურობა მნიშვნელოვანია, არამედ იმის ჩვენება, რომ რეალისტური მოლოდინებისა და მიღწევადი მიზნების საფუძველზე ის რეალურად მუშაობს და კონკრეტულ შედეგებს იძლევა.